პ რ ო ე ქ ტ ი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №**

2024 წლის --- აგვისტო

ქ. წყალტუბო

**ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული შენობის ( საკ. კოდი # 29.08. 34.014. 01. 507 ) პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის“ „დღის საქმიანობის ცენტრის“ მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად 2 ( ორი ) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 2 აგვისტოს 48-482421555 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული შენობის ( საკ. კოდი # 29.08. 34.014. 01. 507 ) პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის“ „დღის საქმიანობის ცენტრის“ მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად 2 ( ორი ) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებში არსებული შენობის ( საკ. კოდი # 29.08. 34.014. 01. 507 ) პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის“ „დღის საქმიანობის ცენტრის“ მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად 2 ( ორი ) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი — მ. ზერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი — გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე — რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: 48-482421555
თარიღი: 02/08/2024

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გენერალური მდივნის 2024 წლის 31 ივლისის N Adm-310724/2 წერილი (თან ერთვის), რომელშიც ითხოვს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ,,სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც ბერკეტები მდგრადი კვების სისტემის ხელშეწყობისათვის საქართველოში-საქართველოს სურსათის ბანკი'' პროექტის განხორციელების მიზნით, დღის საქმიანობის ცენტრის მოსაწყობად უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაეცეთ, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართი (საკ.კოდი N29.08.34.014.01.507).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა, ა(ა)იპ ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას'' ,,დღის საქმიანობის ცენტრის'' მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართი (საკ.კოდი N29.08.34.014.01.507).

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

საქართველოს წითელი ჯვარი

GEORGIA RED CROSS

N: Adm-310724/2

31/07/2024

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს,
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება (შემდგომში „სწჯს") დაარსდა 1918 წელს. სწჯს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის მოძრაობის განუყოფელი ნაწილია და მისი საქმიანობა ეფუძნება მოძრაობის ფუძემდებლურ პრინციპებს: *ჰუმანურობა, მიუკერძოებლობა, ნეიტრალურობა, დამოუკიდებლობა, ნებაყოფლობითობა, ერთადერთობა, უნივერსალურობა*.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და დამატებითი ოქმების, "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და თავისი წესდების შესაბამისად. საზოგადოების სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ", რომლის თანახმადაც, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ნებაყოფლობითი, ჰუმანიტარული, არასამთავრობო, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება. 2015 წელს, მთავრობის №508 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას მინიჭებული აქვს საგანგებო როლი, რომლის თანახმად იგი ახორციელებს საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედებების ორგანიზებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის კოორდინირებით.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გეგმავს როგორც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ერთობლივი პროექტის წარდგენასა და განხორციელებას, ასევე დონორის მიერ დაფინანსებული პროექტის იმპლემენტაციას. კერძოდ, იგეგმება, რომ წყალტუბო იყოს სამიზნე მუნიციპალიტეტი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტისა "სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც ბრეკეტები მდგრადი კვების სისტემის ხელშეწყობისათვის საქართველოში-საქართველოს სურსათის ბანკი". პროექტის მიზანი, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა და ადგილობრივმა სამოქალაქო ჯგუფმა ეფექტურად შეუწყონ ხელი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში საკვების ნარჩენების შემცირებას და მოწყვლადი მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების გაზრდას.

თბილისი, ვაზისუბნის ქუჩა 71
+995 32 2 501105
redcross@redcross.ge
www.redcross.ge

Tbilisi, 71 Vazisubani street
+995 32 2 501105
redcross@redcross.ge
www.redcross.ge

დაგეგმილი პროექტების განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია წყნეთში ფართის არსებობა, რომელშიც მოეწყობა დღის საქმიანობათა ცენტრი. ფილიალში მოხდება მოსახლეობის მოზიდვა, განხორციელდება არაერთი აქტივობა მათი და ბენეფიციართა საჭიროებით. ცენტრში ჩატარდება სხვადასხვა შეხვედრები, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

მოგმართავთ თხოვნით, ცენტრის წარმატებით ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადმოგვეცეთ თქვენს საკუთრებაში არსებული 36.6 კვმ ფართი მდებარე წყნეთში, რუსთაველის 25, I სართულზე, ს/კ 29.08.34.014.01.507.

ამასთან, თანდართული დოკუმენტით გიგზავნით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და წყნეთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის მემორანდუმის სამუშაო ვერსიას განსახილველად.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო ოსეფაშვილი
გენერალური მდივანი

მემორანდუმი

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი ---------------, 2024 წელი

ერთი მხრივ, ---------------- მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მერის, ----------- სახით (შემდგომში „მუნიციპალიტეტი") და მეორე მხრივ, ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, წარმოდგენილი მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის, გენერალური მდივნის, **ნინო ოსეფაიშვილის** სახით (შემდგომში „საზოგადოება"), ვსარგებლობთ რა ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილებებით, ვდებთ მემორანდუმს შემდეგზე:

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი, მხარეთა მიზნები

**საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება (სწჯს)** მოქმედებს, როგორც ნებაყოფლობითი, არასამთავრობო, ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში ხელისუფლების დამხმარე დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ეროვნული საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მისი წესდებისა და მისიის შესაბამისად, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლური პრინციპების დაცვით და სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით.

**საზოგადოების პრიორიტეტული მიმართულებებია:**

- ზრუნვა მოსახლეობის დაუცველ ფენის ჯანმრთელობაზე და სოციალურ კეთილდღეობაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა;
- წჯ/წნ საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლური პრინციპების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ჰუმანიტარული ფასეულობების გავრცელება;
- საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაძლიერება;
- ჰუმანიტარული სამართლისა და ჰუმანიტარული ფასეულობების გავრცელება;
- ფართო შესაძლებლობების მქონე ძლიერი საზოგადოების მშენებლობა გაჭირვებულთათვის დახმარების გაწევის მიზნით.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია

- -----------------
- --------------

## მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

2.1 წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე საზოგადოება და მუნიციპალიტეტი თანხმდებიან მჭიდროდ ითანამშრომლონ ჰუმანიტარული საქმიანობის, კატასტროფების მართვის, ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში, საზოგადოების პროგრამული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობის საქმეში და სხვა ნებისმიერ საქმიანობაში, რომელიც არ იქნება აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით;

2.2 წინამდებარე მემრანდუმის 2.1. პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლობა ხორციელდება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობის ფუძემდებლურ პრინციპებზე, საზოგადოების წესდებაზე და საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით.

## მუხლი 3. მხარეთა ვალდებულებები:

მხარეები გამოხატავენ რა მტკიცე ნებას თანხმდებიან შემდეგზე:

3.1. მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან მემორანდუმის საგნით გათვალისწინებული საზოგადოების პროგრამული საქმიანობების წარმატებით განსახორციელებლად;

3.2. თანამშრომლობის ფარგლებში გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და მისცენ რეკომენდაციები;

3.3. ერთობლივად უზრუნველყონ მემორანდუმით დასახული მიზნების წარმატებით განსახორციელებლად საჭირო მოქმედებები.

3.4. მუნიციპალიტეტი გამოხატავს კეთილ ნებას ხელი შეუწყოს საზოგადოებას მისი პროგრამული საქმიანობების განხორციელებაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის გზით.

## მუხლი 4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 5 წლის განმავლობაში;

4.2 იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმდებიან წერილობით ამ მემორანდუმის შეწყვეტაზე ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე, ის გაგრძელებულად ჩაითვლება იმავე ვადითა და პირობებით, რაც გავრცელდება ყოველ შემდგომ გაგრძელებაზე.

4.3 მხარეები თანხმდებიან, რომ არ მოშლიან წინამდებარე მემორანდუმს ცალმხრივად.

## მუხლი 5. ცვლილებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმში რაიმე ცვლილების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეების წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

5.2. მემორანდუმის 5.1 პუნქტის მოთხოვნათა სრული დაცვით განხორციელებული ცვლილებები ან/და დამატებები ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ამ მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

## მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. წინამდებარე მემორანდუმის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე უარს ამბობს თავისი მოვალეობების შესრულებაზე ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა ამა თუ იმ მხარემ მიიღო ყველა ზომა, გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და მოძებნა ალტერნატიული ზომები წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების ჯეროვნად შესასრულებლად.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ მხარეები შეთანხმდებიან მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ პირობებზე და ვადებზე.

## მუხლი 7. დავის გადაწყვეტა

7.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. მხარეები მიმართავენ მთელს ძალისხმევას წარმოშობილი დავისა ან/და უთანხმოების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისათვის. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. წინამდებარე მემორანდუმის პირობები ვრცელდება მხარეებზე და მათ წარმომადგენლებზე.

8.2. წინამდებარე მემორანდუმის ყველა დანართი, დამატება ან/და ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ინახება მხარეებთან.

8.4. თუ წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს ვერ მოახდენს გავლენას მთელი მემორანდუმის ან მისი ცალკე პირობების კანონიერებაზე და გამოყენებადობაზე.

## მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

- მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბნის ქ. №71
- ს/კ 202051536

-------------- მუნიციპალიტეტის მერია

- მისამართი:---------------
- ს/კ ---------------

ნინო ოსეფაიშვილი
გენერალური მდივანი

-----------------
მერი

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24083346, 02/07/2024 11:02:10

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება |
| **სამართლებრივი ფორმა:** | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 202051536 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 2/9-163; 10/09/1999 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | სასამართლო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ჯ. კახიძის ქ., N15 |

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: info@redcross.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

## ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

## მმართველობის ორგანო

- პრეზიდიუმი

  პრეზიდენტი/წევრი: ნათია ლოლაძე, 01025017412

  ვიცე-პრეზიდენტი/წევრი: თამარი სახლთხუციშვილი, 59001004344

  ვიცე-პრეზიდენტი/წევრი: ოთარ დავითაძე, 61009002835

  წევრი: თამარ კენჭიაშვილი, 01024028517

  წევრი: ანი ჯაბადარი, 36001046725 (საფინანსო კომისიის თავმჯდომარე)

  წევრი: ნანა ტალახაძე, 28001056746

  წევრი: შორენა წიკლაური, 16001002217

  წევრი: ნინო ბაიდარაშვილი, 22001023354

წევრი: ნინო ჯავახიშვილი, 08001032168

- გენერალური ასამბლეა

## ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- გენერალური მდივანი - ნინო ოსეფაიშვილი, 01013010003 ,ერთპიროვნული
- პრეზიდენტი - ნათია ლოლაძე, 01025017412 ,ერთპიროვნული

**ყადაღა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge